მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №9

ქ. მარტვილი 21 ნოემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე, დამთავრდა 14:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ელიზბარ ახვლედიანი, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, ვლადიმერ დანელია, პაატა პირტახია, ბექარ კუკანია, მიხეილ ნაჭყებია, დათო ხელაია.

ასევე ესწრებოდნენ; როლანდ წულაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი.

სხდომას თავმჯდომარეობდა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ელიზბარ ახვლედიანი.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ელიზბარ ახვლედიანმა დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი-ელიზბარ ახვლედიანი, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./
2.. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

/მომხსენებელი-ელიზბარ ახვლედიანი, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./
კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

პირველი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ელიზბარ ახვლედიანის მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რომელიც დანართის სახით მოიცავდა, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის განმარტებით ბარათს, 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტებს, კაპიტალური ბიუჯეტის დანართს და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა) იპ-ების შემოსულობების გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილებას.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე სადაც მუხლობრივად იქნა განხილული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი და კომისიამ კენჭისყრის შედეგად,

მომხრე -6, წინააღმდეგი- 2.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკითხი და საკითხი ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ელიზბარ ახვლედიანის მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური

დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო წარმოდგენილი საკითხი და

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ელდარი თოდუამ აღნიშნა, რომ აღნიშნულ წესში რომელიც ეხება სტუდენტების დაფინანსებას რომელთა ოჯახის წევრები სარგებლობენ სოციალური დახმარებით, სტუდენტი ფაქტიურ მისამართზე ცხოვრების გამო ვერ სარგებლობს შესაბამისი დახმარებით და მიზანშეწონილად მიაჩნია შესაბამის მუხლს სადაც მითითებულია ფაქტიური საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოს ფაქტიური და რეგისტრირებულით.

კომისიის წევრებმა კითხვით მიმართეს, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსს როლანდ წულაიას თუ რამდენად სწორად მიაჩნია ზემოთ წამოყენებული წინადადება რაზეც როლანდ წულაიამ უპასუხა რომ საკითხის ირგვლივ მსჯელობა სწორად მიაჩნია და მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხის ირგვლივ იმსჯელოს საკრებულომაც.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე სადაც მოიწონეს ელდარი თოდუას წინადადება.

კომისიამ კენჭისყრის შედეგად

მომხრე -8 ,წინააღმდეგი- 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მიზანშეწონილად მიაჩნია მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ წარმოდგენილ პროექტში 4-ე მუხლის 7-ე პუნქტის სათაურში მიეთითოს (მარტვილში რეგისტრირებული).

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ელიზბარ ახვლედიანი